

ლიზი მეგრელიშვილი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

Radboud University, Netherlands

„კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობა იყო. საბედნიეროდ ამის საშუალება მომეცა და 2020 წლის გაზაფხულის სემესტრი გავატარე რედბაუდის უნივერსიტეტში, ნიდერლანდებში. ამ უნივერსიტეტში გატარებული 6 თვე ნამდვილად გამორჩეული და მრავალფეროვანი იყო. სწავლის სისტემა განსხვავებული იყო, თუმცა ეს სიახლე პროცესს უფრო საინტერესოს ხდიდა. ასევე, ლექციებს ვესწრებოდი უამრავ გაცვლით სტუდენტთან ერთად სხვადასხვა ქვეყნებიდან, რაც საშუალებას გვაძლევდა არა მარტო გაცნობოდი ერთმანეთის კულტურას, არამედ სხვადასხვა კუთხით შეგვეხედა ამა თუ იმ საკითხისთვის.

პანდემიის დაწყების გამო მოგვიწია ონლაინ რეჟიმზე გადასვლა, თუმცა რედბაუდის უნივერსიტეტმა იდეალურად შეძლო ამ გამოწვევასთან თავის გართმევა და ლექციებთან ერთად სხვადასხვა ონლაინ აქტივობებით მაქსიმალურად კომფორტული გარემო შექმნა სტუდენტებისთვის. ასევე ჩვენთვის კარგი მოგონებების შექმნაზე ზრუნავდა ESN (Erasmus+ Student Network), რომელიც გვანებივრებდა დაუვიწყარი დღეებით. სამწუხაროდ COVID-19ის გამო საშუალება არ მომეცა ჩემი ყველა გეგმა განმეხორციელებინა, თუმცა სხვადასხვა სირთულეების გადალახვასთან ერთად შევძელი გავმხდარიყავი უფრო დამოუკიდებელი და თავდაჯერებული. საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე ამ სემსტრის განმავლობაში, რაც მომავალში ძალიან გამომადგება.

ვფიქრობ, რომ ერაზმუს პროგრამა სტუდენტებს ეხმარება არა მარტო პროფესიულ, არამედ პიროვნულ ზრდაშიც. პირადად მე ყოველთვის ვიამაყებ იმ ფაქტით, რომ მქონდა საშუალება ამ შესანიშნავი პროგრამით მესწავლა ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში, ამიტომ ყველა სტუდენტს ვურჩევ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.“